წელიწადი მე-2-ე ტელეფონი № 76. შაბათი, 21 მაისი.

# სამშობლო

№ 360

**გაზეთის ფასი:** წლიურად 9 მან., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. **დაბატებით** 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ

**განცხადებას ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათ. ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კაპ. გლოვიარი განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

მღვდ. სპირიდონ ლეკვეიშვილი, ექიმი სერაპიონ დადუნაშვილი, ისიდორე კვიცარიძე, ეპიფანე კანდელაკი, რაჟდენ კანდელაკი, ნიკოლოზ აფხაიძე და ია ეკალაძე—ცინცაძე გულითადი მწუხარებით აუწყებენ ქართველ საზოგადოებას, რომ გერმანიაში ტყვეობის დროს უდროოდ გარდაიცვალა მათი სიყრმისა და სკოლის ამხანაგი, ცნობილი პუბლიცისტი

## ლადო დარჩიაშვილი.

პანაშვიდი დანიშნულია მთავარანგელოზის ეკლესიაში პირველის ნახევარ საათზე კვირას, 22 მაისს 2—1

---

გაზ. „სამშობლოს" რედაქცია მწუხარებით აუწყებს ქართველ საზოგადოებას, რომ კვირას, 22 მაისს, მთავარანგელოზის ეკლესიაში 1 ნახევარ საათზე გადახდილი იქნება პანაშვიდი გერმანიაში უდროოდ გარდაცვლებულის—ქართველი პუბლიცისტის

## ლადო დარჩიაშვილის

სულის მოსახსენებლად. 2—1

---

კვირას, 22 მაისს დილის 10 საათზე საფიჩხიის სასაფლაოს ეკლესიაში გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი

## ნადეჟდა სერათვიონის ასულის კახიანის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთა და მეგობართ გულდამწვარნი დედა ეკატერინე ივანეს ასული შენგელიასი, ქმარი გიორგი ნიკოლოზის ძე კახიანი, დები: ანა სერათვიონის ასული გელოვანისა, თამარი სერათვიონის ასული მეუხარგიასი და ელისაბედ სერათვიონის ასული შენგელიასი; ძმები: ალექსანდრე, კონსტანტინე, ნიკოლოზ და გიორგი სერათვიონის ძენი შენგელიები.
177 2—1

---

ქალაქის თეატრი.

შაბათს, 21 მაისს, ქართველ მსახიობთა მიერ,

ალ. იმედაშვილის

მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

## ოტელო

ტრაღედია 5 მ. უ შექსპირისა, თარ. ი. მაჩაბლისა.

ოტელოს როლს შეასრულებს **ა. იმედაშვილი.**
დეზდემონას — — **მ. მდივანი.**
იაგოს — — **ა. ყალაბეგიშვილი.**

დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე
176 1—1 ადგილების ფასი: 3 მ 50 კ-დან ვიდრე 40 კ დე.

---

**ექიმი** გაბრიელ იოსების ძე **გოკიელის** ელექტრინისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. საათ. 6-8 ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. თ.

---

**ექიმი** **შალვა კოკოჩაშვილი** იღებს ბავშთა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფებს ნაშუადღევის 1—3 საათ. და საღამოს 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ნიჟარაძის №.
14 46, ტელეფონი № 87 თ

---

**ექიმი** **ი. ჩარექიშვილი** ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფებს. (სისხლში შესხმა „606" და „914") დილით 11$^1/_2$— საათ. საღ. 6—8 საათ.
მისამართი: ლვოვის ქუჩა, ალიხეგოვის სახ. ტელეფონი № 135. თ.

---

**ექიმი** **ა. მ. ასათიანი.** რადგანაც სამსახურის გამო ესენტუკში გაიწვიეს მინერალურ წყლების ჯგუფის ექიმად მან ავათმყოფების მიღება 1 აგვისტომდის შესწყვიტა.

---

**ექიმი** **მულინი.** ყელის, ცხვირის და ყურების ლებულობს ავათმყოფებს ნაშუადღევის 2—3 საათამდი, საღამოს 6—8 საათამდი, კვირას გარდა. თბილისის ქუჩა, № 70, სახლი ქაიხოსრო ჯაფარიძისა. 10

---

**ბებია** **მ. მ. ქოხრეიძე** უცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ოველ დროს. ალექსანდროვის ქუჩა, სვ. თევდორაძის სახლი, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

---

უმაღლეს კურსდამთავრებული ჯგუფი

## ამზადებს

მოწაფეებს საშუალო სასწავლებელთა ყველა კლასებისათვის და აგრეთვე სხვადასხვა მოწმობის მისაღებ გამოცდებისათვის.
პირობების გაგება შეიძლება საღამოს ყოველ დღე შემდეგი მისამართით: თბილისის ქ. სახლი გიორგი გურგენიძისა. თ.

---

## ჩამოსული რუსი სტუდენტი

უკანასკნელი კურსის (8 წლის პრაქტიკით) **იძლევა გაკვეთილს,** ამზადებს საშუალო სასწავლებლის ყველა კლასში, სავაჭრო მოწაფეთ, „ვოლნოოპრედელიაიუშჩის" პირველ და მეორე ხარისხზე, პირველდაწყებით სკოლის მასწავლებლათ და სხვადასხვა სასწავლებელში შესასვლელათ.
თანახმაა აგარაკზე გაჰყვეს ოჯახს.
მისამართი: დადიანის ქუჩა სახლი 6. სტ. ალ. კობიაშვილი.

---

ელექტრო „რადიუმ" თეატრი

ხუთშაბათიდან, 19 მაისიდან **გასტროლები**

## ლინა კავალიერისა.

დედამიწის ზურგზე ულამაზესი ქალი და ბრილიანტების დედოფლად წოდებული პირველად გამოდის ეკრანზე.

## სიკვდილის მეუღლე.

დიდათ დასურათხატებული დრამა ხუთ ნაწილად.

**პროლოგი. ამ ქვეყნიური სამოთხე.**

1 ნაწ. პირველი დისონანსი, 2 ნაწილი სამოთხიდან გამოქცევა, 3 ნაწ. პარიზის ბოლში, 4 ნაწ. საბედისწერო სურათი, 5 ნაწ. მოშხამული ყვავილები.
მოქმედება სწარმოებს რომსა და პარიზში. ეს დრამა საზოგადოებაზე უკვდავ შთაბეჭდილებას სტოვებს. ეს სურათი ქ. მოსკოვში 32-ჯერ ზედიზედ იქნა ნაჩვენები და ყოველთვის ხალხით იყო გაჭედილი.

**ანონსი:** ორშაბათიდან, 23 მაისიდან **პატე ჟურნალი** № 341. მიმდინ. ამბები.

## ქალი, რომელზეც არ ღირს ლაპარიკი.

ძლიერი დრამა 5 ნაწილად ვავიჩისა და პავლოვის მონაწილეობით.

---

ელექტრო „ამპირი" თეატრი

ხუთშაბათიდან, 19 მაისიდან ახალი პროგრამა. **პატე ჟურნალი** № 340. მიმდინ. ამბები.

## ბრჭყალებში.

მხატვრული დრამა ხუთ ნაწილად ცნობილ იტალიელ მსახიობ ქალის ესპერის და მსახიობთა ემილიონ ჭიონეს და ალბერტო კოლოს მონაწილეობით.

**ანონსი:** ორშაბათიდან, 23 მაისიდან ახალი პროგრამა. **ქრონიკა გომონი** 38 გ მიმდინარე ამბები.

**ვნებათა ღელვა.** ძლიერი დრამა 4 ნაწილად ცნობილ მსახიობთა: მოზჟუხინისა და ლისენკოს მონაწილეობით.

ადგილების ფასი „**ამპირსა**" და „**რადიუმში**"; ლოჟა 85 კაპ., 1 ადგ. 75 კაპ., 2, 50 კაპ., 3, 30 კაპ. მოწაფეთათვის: 2 ადგ. 30 კაპ., ჯარის კაცთათვის მესამე ადგილი 20 კაპ.

---

## ვენახის საწამლათ.

იყიდება ცნობილი ქაკმენის სითხე, რომელიც ვაზს იცავს შემდეგ სნეულებისაგან: მილდიუმიდან, იოდიუმიდან და სხვადასხვა მავნე მწერისაგან. ამ სითხით წამლობენ შვიდი წლის განმავლობაში და ნაყოფიც დიდია.
წამლობისათვის საჭიროა კოლოფი (ფხვნილი) „**ტრინდენისა**". იყიდება აგრეთვე პულვერიზატორი და სამარგელი მანქანა ვენახებისათვის.
მისამართი: სავაჭრო სახლი „კლოჟგურული" ქუთაისი, კახიანოური. თვ.

# მსოფლიო ომი.

## დეპეშები.

უმაღლეს მთავარ სარდლის შტაბისა.

**პეტროგრადი.** 17 მაისი. ოფიციალი. დასავლეთის ასპარეზი. 16 მაისს ღამით, მტერი შეეცადა ავგუსტინპოფის ჩრდილო აღმოსავლეთისაკენ წამოწევას, მაგრამ მალე დავაბრუნეთ. მოპირდაპირეთა მფრინავებმა ვილეიკის სადგურზე რამდენიმე ყუმბარა ჩამოაგდეს. გალიციაში, მდ გლიადკის მიდამოებში მტერმა ჩვენს თხრილებთან საშინელი ცეცხლი გააჩაღა და თან იერიშით წამოვიდა. მან მალე განდევნა ჩვენი ყარაულები და ორი დაუთავებელი გალერია ააფეთქა, მაგრამ მაშველმა მოგვისწრო და ავსტრიელები ისევ გავაბრუნეთ. ზალენის ჩრდილო-დასავლეთით, ბურაჩის ჩრდილოეთით, ავსტრიელთა ძლიერი ჯგუფი წამოწევას შეეცადა, მაგრამ ვერ შესძლო.

**კავკასიის ასპარეზი.** მდგომარეობა უცვლელია.

**პარიზი.** 17 მაისი. დღისით მოსული ოფიციალი უწყება. მაასის მარცხენა ნაპირზე გუშინ შელამებისას საარტილერიო სროლა გაორკეცებულის ძალით განახლებულ იქნა, განსაკუთრებით მორტპომისა და კიუმიერის შუა. მალე ერთსადაიმავე დროს გერმანელები იერიშით წამოვიდნენ. ამ იერიშის დროს მონაწილეობას იღებდა ახლად მოსული დივიზია. ფრანგთა მარცხენა ფრთაზე მორტპომის აღმოსავლეთით იერიში მოგერებული იქნა. უფრო იქით, აღმოსავლეთით, კორრეტის ტყის მიმართულებით, უშედეგო იერიშების შემდეგ, გერმანელთ დიდი ზარალი მოუვიდათ. ფრანგებმა ბეტანკურ-კიუმიერის სამხრეთით დაიხიეს. მარჯვენა ფრთაზე, მიუხედავათ იმისა, რომ გერმანელებმა ძალები შემოიკრიბეს, ვერ მოახერხეს ფრანგების გაძევება მთელი ღამის განმავლობაში. მაასის მარჯვენა ნაპირზე დიდ ბრძოლა მოხდა დუომონის ფორტის დასავლეთ რაიონში. დანარჩენ ფრონტზე ღამემ შედარებით წყნარად ჩაიარა.

**რომი.** 17 მაისი. ლაგარინის ველებში, ადიჯეს და ვალარსის შუა 15 მაისს მტერი უსასტიკესი იერიშებით წამოვიდა, მაგრამ ჩვენმა 37 დივიზიამ უკუ აქცია. პოზინო-ასტიკოს უბნებში გუშინ საარტილერიო ბრძოლა გძელდებოდა. მოპირდაპირემ იერიშები მოიტანა პოზინოს წყაროს სამხრეთით, მაგრამ დიდად დაზარალებული უკუიქცა ასიაგოს მაღლობებზე მოპირდაპირეთა თხრილები ჩავიგდეთ აქ, 141 პოლკის მეომრებმა და კოსტან ცარის ბრიგადამ გამოიხსნა ორი ბატარეია, რომელსაც მტერი ყოველ მხრივ შემოხვეოდა. სუგანის ველებში მცირე ტაკებაა. ასპარეზის დანარჩენ ადგილებში საარტილერიო ბრძოლაა, რომელმაც პლავის და მონფალკონეს მიდამოებში დაჟინებითი ხასიათი მიიღო.

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

„რუსკ. სლ."-ში მიხაილოვსკი სწერს: მსოფლიო ომი ამ ჟამათ ახალ სახეს ღებულობს. ყველა ფრონტზე ახალსა და დიდ ამბებს მოველით. რუსეთის მხრით აზიაში დაწყებული ოპერაცია უთუოდ ოსმალეთის სრული დამხობით უნდა დასრულდეს. ვერდენის დასაცავად საჭიროა საფრანგეთს საჩქაროდ მიეშველოს მოკავშირეთა ჯარი.

— —

ჟიტომირიდან ტრაპიზონში 86 პოლიციელი დარაჯი გაუგზავნიათ. ეს დარაჯები წინათ გალიციაში იმყოფებოდენ.

— —

მიუხედავად ოსმალთა ჯარის მიერ იერიშების დაწყებისა, კავკასიის ასპარეზე მდგომარეობა უცვლელია.

— —

სალონიკზე უკვე დაიწყეს იერიშები. ბულგარეთის ჯარს სარდლობს გენერალი ბოიაჯევი.

— —

ბეთმან ჰოლვეგი ბავარიის მეფესთან წასულა. მისი მიზანია ბავარიიდან ერთი კორპუსი ჯარის გადმოყვანა, რომელი ჯარიც კრონ პრინცს უნდა მიაშველონ ვერდენთან

— —

ცნობილ მემარჯვენე პურიშკევიჩს წინადადება მიუცია რუსეთის დიპლომატიურ წრეებისთვის, რომ მათ შეიმუშაონ ახლავე საზაო პირობები.

— —

ბულგარეთის ჯარი, საბერძნეთის მთავრობის ნებართვით, საზღვარს გადასულა და რამდენიმე სტრატეგიული პუნქტი დაუკავებია. ძალზე გაუმაგრებიათ რუპელი, რომელსაც დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს.

— —

იტალიის ასპარეზზე ავსტრიელები იტალიის ტერიტორიაზე 10 ვერსის მანძილზე შეჭრილან და წინსვლას განაგრძობენ. იტალიელები ყველგან მოგერებითი ომს აწარმოებენ.

— —

რიგის ფრონტზე სწარმოებს განუწყვეტელი საარტილერიო ბრძოლა, რომელსაც ხშირად გერმანელების იერიშები მოსდევს ხოლმე.

— —

იტალიის ასპარეზზე ვოლდასსა და არსიეროსთან უმძლავრესი ბრძოლა სწარმოებს. აქ მთავარი პოზიციები ისევ იტალიელთა ხელშია.

— —

ავსტრიის არმიის მთავარსარდალს ჰერც ჰერცოგ ევგენის მოწოდებით მიუმართავს იტალიის ასპარეზზე მომქმედ ჯარისთვის და უთქვამს: რაც უნდა დაუჯდეს ავსტრიის ჯარის კაცებს, მათ მაინც უნდა დაამარცხონ ის მტერი, რომელიც ზურგიდან ხანჯლის ჩაცემით დაგვემუქრაო.

— —

გერმანიის პრესა ერთობ კმაყოფილი სანოვაგეზე ბარათების შემოღებით. ქაღალდის კრიზისის გამო, გერმანიაში ყველა დიდმა ორგანოებმა ფორმატები დააპატარავეს.

— —

რუმინია ოსმალეთის სავაჭრო ხელშეკრულება უკვე შევიდა ძალაში. ოსმალეთი რუმინეთიდან ხორბალს ეზიდება, მხოლოდ რუმინიას სამაგიეროთ გააქვს აბრეშუმეულობა და სხვადასხვა საწარმოო მასალა.

# ომის დღიური.

**ვერდენთან** გერმანელებმა ქვეითა ჯარის იერიშებს არტილერია მიაშველეს და გაცხარებით უშენენ მორტჰომ კიუმერის ხაზსა და მეორე რიგის პოზიციებს.

**იტალიის** ასპარეზზე მდ. ადიჯეს ორივე მხარეს ავსტრიელები შეტევას აწარმოებდენ.

იტალიელები ლამობენ ავსტრიელების შეჩერებას ასიაგოს რაიონში.

**რუსეთის** ფრონტის წვერებზე წვრილმანი შეტაკებანი და ჰაერით დაზვერვა სწარმოებს.

**კავკასიის** ფრონტზე მდგომარეობა უცვლელია.

---

ულრმესი მწუხარებით გულდამწვარნი: ექიმი გიორგი გაბრიელის ძე ნიჟარაძე, დედა მისი მაილ ჯაფარიძის ასული ნიჟარაძისა, და ლუბა გაბრიელის ასული და ძმა პიმენ გაბრიელის ძე ნიჟარაძე აუწყებენ ნათესავებსა და ნაცნობ-მეგობართ გარდაცვალებას ქ. თფილისში მძიმე და ხანმოკლე ავათმყოფობის შემდეგ პირველის უსაყვარლესის მეუღლისა ხოლო უკანასკნელნი უძვირფასესის რძლისას

**ბაბო იასონ გელოვანის ასულის ნიჟარაძისას,**

რომლის ცხედარსაც თფილისიდან ქუთაისში მოასვენებენ ორშაბათს, 23 მაისს, დილის 9 საათზე და წაასვენებენ ლეჩხუმისაკენ იმავე დღეს 12 საათზე, მექვენაში ღამის გათევის შემდეგ მიასვენებენ ს. ახალჴალას, სადაც დაკრძალვენ გელოვანთა საგვარეულო აკლდამაში ოთხშაბათს, 25 მაისს, დილის 12 საათზე.

---

მძიმე და ხან-მოკლე ავადმყოფობის შემდეგ 17 მაისს თფილისში გარდაიცვალა

**ბაბო იასონ გელოვანის ასული ნიჟარაძისა**

რასაც მწუხარებით გულდათუთქულნი აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობ-მეგობრებს: დედის ნაცვალი კ-ნა ივდითი ლორთქიფანიძის ასული გელოვანისა, ძმა, თ-დი შოთა იასონის ძე გელოვანი, რძალი კ-ნა ელენე ფარსადანის ასული გელოვინისა და დისწულები გუგულა და ზინა კვიტაშვილები. მიცვალებულს თფილისიდან ქუთაისში მოასვენებენ ორშაბათს, 23 მაისს, დილით 9 საათზე, საიდანაც ლეჩხუმისაკენ წაასვენებენ იმ დღესვე 12 საათზე. მექვენაში ღამის გათევის შემდეგ მიასვენებენ სოფ. ახალჴალას, სადაც დაკრძალვენ გელოვანთა საგვარეულო აკლდამაში ოთხშაბათს, 25 მაისს, დილის თორმეტ საათზე

---

## სამხედრო მიმოხილვა.

უკანასკნელ დროს საშუალო მკითხველის ყურადღებას ომის მეორე ხარისხოვანი ასპარეზნი უფრო მეტს ყურადღებას იქცევენ, ვიდრე აღმოსავლეთისა და დასავლეთის სისხლით მორწყული ფრონტები. ამ ორს დიდ ბრძოლის* პირებზე ერთგვარი დამოკიდებულება დამყარდა მეომართა შორის; არც ერთ მხარეს არ ძალუძს ბრძოლის წარმოება დიდის მასშტაბით. მოპირდაპირემ დიდძალი ჯარი მორეკა ბრძოლის პირზე; ბრძოლის პირი გარდაჰქმნა მიუვალ სიმაგრეთ და ამიტომ შეუძლებელია ფართო მანევრების წარმოება ამ ადგილებში. ამნაირად ასრულდა განსვენებულის სამხედრო ავტორიტეტის ბლიოხის წინასწარმეტყველება ბლიოხი დაუკვირდა რა ინგლის ბურთა შორის მომხდარ ომის წვრილმანებს, იწინასწარმეტყველა, ინტერსიურად განვითარებულ თავდაცვის ტეხნიკას შედეგათ მოყვება ის, რომ ბოლოს და ბოლოს ფლანგებით ღრმა შეჭრა მოწინააღმდეგის ბანაკში შეუძლებელ გახდება ზავის ჩამოგდება, რადგანაც რაღა უნდა გააკეთოს შემტევმა მხარემ, თუ კი ფართო შეტევა ტეხნიკურად შეუძლებელი გახდებაო.

სწორედ ასეთი აზრისა იყო ბევრი სამხედრო ავტორიტეტი ამ სამი თვის წინად დასავლეთის ფრონტის შესახებ და ინგლისის ცნობილმა მწერალმა უელსმა ხოტბაც კი შეასხა საქვეყნოდ ბლიოხს

რამდენადაც სწორი გამოდგა ბლიოხის წინასწარმეტყველების პირველი ნაწილი და ბრძოლამ დასავლეთით მიაღწია მკვდარ წერტილს, კლასიკურ სახეს სანგრული ბრძოლისას, იმდენად განუხორციელებელი დარჩა წინასწარმეტყველების მეორე ნაწილი ომის ღმერთის საყვარელმა ქურუმმა გერმანიამ შესაფერი გამოსავალი ნახა ამ მდგომარეობიდან. ვერდენის ოპერაცია, მიუხედავათ იმისა რომ ის ვერ სარგებლობს ფართო მანევრებით, მაინც აღწევს დიდი პერსპექტივის მიზნებს შეუტია რა გერმანიამ უმაგრეს ნაწილს ფრონტისას, დაუსახა საფრთხე საფრანგეთს და უკანასკნელმა მთელი თავისი რეზერვები ჩააბა ბრძოლაში.

ამნაირად ვერდენის ოპერაციამ გააშორა, დროებით მაინც, მთელი საფრანგეთის ჯარი მოკავშირეთა მიერ განზრახულ საერთო შეტევაში მონაწილეობას, სამაგიეროდ მოკავშირეებმა შესძლეს მცირე აზიის უდიდესი ნაწილის დაპყრობა და რუსეთი სიკვდილით დაემუქრა ოსმალეთს.

შვერელი

---

**ქ. ქუთაისი, 21 მაისი.**

საჯაროდ, საქვეყნოდ ჩვენ არა ერთხელ გამოგვიცხადებია, რომ ისეთ ქვეყანაში, ისეთ ერში, როგორიც არის ჩვენი ქვეყანა და ჩვენი ერი თავისი პოლიტიკურ-ეკონომიურ მდგომარეობით,—კლასთა თანამშრომლობას უაღრესი მნიშვნელობა აქვს და, მაშასადამე, მთელი ჩვენი ძალღონე იქითკენ უნდა იყოს მიმართული, რომ თითოეული ჩვენში არსებული კლასი, წოდება, თუ ჯგუფი რაც შეიძლება დავუახლოვოთ ერთი მეორეს, რაც შეიძლება გავასაზოგადოებრივოთ, რაც შეიძლება მივსწი მოვსწიოთ და მთელის ჩვენის ქვეყნის სახელით, მთელის ჩვენის სამშობლოისა და ერის სასარგებლოდ, მთელის მშრომელის ხალხის საკეთილდღეოდ შეერთებულის ძალით ავამოძრაოთ და შევქმნათ ისეთი ურთიერთობა, რომელიც დამყარებული იქნება ლოზუნგზე: ერთი ყველასათვის და ყველა ერთისათვის!..

ჩვენ—ერთის წუთითაც, ერთის საათითაც—არ გვავიწყდება, რომ თითოეულ კლასსა, წოდებასა, თუ ჯგუფს თავისი განსაკუთრებული, სპეციალური და, თუ გნებავთ, სპეციფიური ინტერესებიცა აქვს, მაგრამ ამავე დროს არც ის გვავიწყდება, რომ ამ ინტერესთა ჯამი, ამ ინტერესთა სუმმა, ბოლოს და-ბოლოს, არის მიზანშეწონილება ერის არსებობისა, ძალთა განწყობილება ხალხის თვითმოქმედებისა და ძლევამოსილება ერის შემოქმედებისა.

როგორც თითოეული ოჯახი ვერ იარსებებს და დაინგრევა თუ თანხმობა არ არის ამ ოჯახის წევრთა შორის, როგორც თითოეული კაცი ვერას გააწყობს ცხოვრებაში, თუ მას მომხრე და ხელის შემწყობი არა ჰყავს, ისე თითოეული კლასი თუ ჯგუფი, ცალკედ, თავის თავად აღებული, ღელოს ვერ გაიტანს, თუ შეთანხმებით არ იმოქმედა მეორე არსებულ კლასსა და ჯგუფთან ერთად ..

უვარგისი სახლის დანგრევა ადვილია, მაგრამ დანგრეული სახლის აშენება კი ძნელია.

დანგრევა ამა თუ იმ შენობისა შეუძლია უხეშ ძალასა თუ სტიქიურ მოვლენასაც, მაგრამ აშენება კი მოითხოვს შეგნებულსა და მოსაზრებულს გეგმას, მზრუნველობას..

ხუროთ-მოძღვარი, კალატოზი, მასალის მიმწოდებელი, ქვა და კირის მომზიდავი, თავდარიგისა და განკარგულების მომხდენი,—მუშა თუ შემომქმედი ყველა მიზან შეწონილად უნდა მოქმედებდენ, თორემ თუ ერთმანეთს დაერივნენ, მაშინ შენობის აშენების მაგიერ ბაბილონის გოდოლი გამოვა.

ეს ისეთი საანბანო ჭეშმარიტებაა, რომ ლაპარაკიც კი ზედმეტია, მაგრამ უბედურება ის არის, რომ ამ საანბანო ჭეშმარიტებას სადავოთა ვხდით ხოლმე და იმის მაგივრად, რომ კურდღელი ურმით დავიჭიროთ, კურდღელიც ხელიდან მიგვდის და ურემიც გვენტვრევა, იმიტომ, რომ მეურმეობას ხშირად ისეთ კაცს ვანდობთ ხოლმე რომელსაც თავტანისა არა გაეგება-რა!..

აი, აქ არის საჭირო შეერთებული მოქმედება, აქ არის საჭირო ათასი თვალი და ათასი ყური, რომ ქვეყანა არ გავერანდეს და ქვეყნის საქმეც გაუკეთებული არ დარჩეს.

ცხოვრება არც მუსიკაა და არც სხვა რომელიმე დარგი ხელოვნებისა, იგი ბრძოლაა, ჭიდილია არსებობისათვის და მხოლოდ ის ერი სცოცხლობს, რომელიც შეგნებულად აწარმოებს ამ ბრძოლას და თითოეულ ნაბიჯს ფრთხილათა და მოსაზრებით სდგმას...

ცხოვრება კიბეა ერის, ხალხის უზენაესს ბედნიერებამდე ასასვლელად შექმნილი. როგორც საფეხურებს მოკლებული კიბე ვერ აგვიყვანს ზემო სართულში, ისე ამა თუ იმ საზოგადოებრივ ორგანიზაციის განსაკუთრებული უფლება-მოსილება ვერ შექმნის იმ თანასწორობასა და ძმობა ერთობას, რომლის დამყარებასაც სცდილობენ და გვიქადაგებენ კაცობრიობის მოკეთე სოციოლოგ-მეცნიერები და დიდებული მოძღვარნი, ვინაიდგან არ არის მოვალეობა თვინიერ საერთო, საყოველთაო უფლებისა და უფლება, თვინიერ საერთო, საყოველთაო მოვალეობისა

ამიტომ ჩვენ ვერ შევიწყნარებთ და ვერ გავიზიარებთ ერთი რომელიმე კლასის გაბატონებას, ერთი რომელიმე ჯგუფის უფლებამოსილებას.

მართალია, ქვეყნის მატერიალურ სიკეთეთა უსწორ-მასწორო განაწილებამ და ამ უსამართლო უსწორ-მასწორობაზე დამყარებულმა უფლებამოსილებამ ამა თუ იმ კლასისამ გამოიწვია უუფლებობა და დაჩაგვრა მეორე, მოპირდაპირე ჯგუფისა, თუ კლასისა, მაგრამ ესევე უსამართლობა გვაჩვენებს გზას სამართლიანობისაკენ და გვაბრძოლებს ამ სამართლიანობის მოსაპოებლად.

— შენც იცოცხლე, მეც მაცოცხლე, შენც იყავ და მეც ვიყო ღირსეული, ბედნიერი, ჯანსაღი, უფლება მოსილი, ადამიანურის ცხოვრებით დამტკბარი! აი, რა არის ხმა ღვთისა და ხმა ერისა

ამ ხმის გარეშე არ არსებობს სხვა არარა და ვინც ამ ხმას ყურს არ უგდებს, და ან ვინც ახშობს ამ ხმას, ის მტერია ქვეყნისა, ხალხისა, სამშობლოისა და კაცობრიობისა!

ამ თვალსაზრისით თუ ვიხელმძღვანელებთ (და სხვა კი რომელია ამაზე უკეთესი სახელმძღვანელო) დღევანდელი უსწორმასწორობა, უსამართლობა უნდა დაინგრეს და უფლებამოსილება მხოლოდ ამა თუ იმ განსაკუთრებული წოდებისა და კლასისა უნდა შეიქნეს უფლებამოსილებად მთელის ერისა.

როგორც დასაძრახისი და მავნებელია ამა თუ იმ კლასის გაბატონება, ისე დასაძრახისი და მავნებელია ამა თუ იმ კლასის უფლებამოსილების ბოროტად მოხმარება.

ამიტომ ყველა შეგნებულისა და პატიოსანი მოქალაქის მოვალეობაა თვალყური ადევნოს თითოეული კლასის მოქმედებას და მთელის ხალხის, მთელის ერის სახელით მოითხოვოს მოქმედება იგი ეთანხმებოდეს მთელი ერის ინტერესებს.

ჩვენი თავად-აზნაურობაც წარმოადგენს ერთგვარ წოდებას, ერთგვარ კლასს, რომელსაც გარემოებამა და ცხოვრების პირობებმა თავისებური უფლებამოსილება მიანიჭა, ერთით თითქოს არ უნდა ვერეოდეთ ამ თავად-აზნაურობის შინაურ საქმეებში, მაგრამ რაკი თავად-აზნაურობა ნაწილია ჩვენის ერისა, მას არავითარი უფლება არა აქვს ანგარიში არ გაუწიოს ქვეყნის ხმას.

ქვეყანა და ხალხი კი მოითხოვს არ იჩაგრებოდეს ერთისაგან მეორე და უფლება ერთისა იყოს უფლებად მეორისა!..

ამიტომ ჩვენ ვერ შევიწყნარებთ სათავად-აზნაურო კრების იმ დადგენილებას რომ კრებამ ხმა არ მისცა იმ 11 ზუგდიდელ აზნაურს, რომელსაც კანონი ანიჭებს სრულ უფლებას იყვნენ წევრნი კრებისა. მათი მიუღებლობა და გაშავება ერთ გვარი ძალმომრეობა და უზურპაციაა, რომელი ძალმოარეობაც და უზურპაციაც დასაგმობი და ასაშფოთებელია.

ვერ ვურიგდებით აგრეთვე იმ მოვლენასაც, რომ მთელი წოდება თავის წარმომადგენლებად ირჩევს ყოვლად მოუმზადებელს და უვიც პიროვნებათ, ისეთ პიროვნებათ, რომელთაც აზრი და გონება ვერ გაუწვდენიათ მინდობილ საქმის სიდიადისათვის და რომელთაც წაკითხულისა და ნაკარნახევის აწონდაწონვაც კი ვერ მოუხერხებიათ.

ასეთი ხალხი არამც თუ ავნებენ წოდების შინაურულ საქმეებს, ვერსად ვერ დაიცავენ ერის სახელსა, უფლებებსა და მოთხოვნილებათ. პირიქით, თავს მოსჭრიან მთელს წოდებასა და მთელ ერს.

ნუ თუ მთელ წოდებას არ მოეპოვება ისეთი კაცი, რომელსაც სათანადო ცოდნა, გამოცდილება და ენა ჰქონდეს?

ნუ თუ არ მოიპოვება მათ შორის ისეთი კაცი, რომელსაც შეეძლოს ღირსეულად ატაროს მარშლის სახელი და არ გააწითლოს თავისი ამომრჩეველნი?

თუ ეს ასეა და დღევანდელ ცენზიან თავად-აზნაურთა შორის არ მოიპოვება სათანადო პირი, მაშინ უცენზო, უფრო გადემოკრატებულ თავა აზნაურთა შორის უნდა მონახონ ღირსეული კაცი და ყოველივე უფლებაც მოუპოვონ.

დღევანდელი ყოფნა კი შეუწყნარებელი და შეუფერებელია, როგორც თავად აზნაურობისა, ისე მთელი ქართველებისათვის!..

— —

P. S. ეს წერილი აწყობილი გვქონდა, როცა ჩვენმა თანამშრომელმა შეგვატყობინა, რომ გუშინ თავად-აზნაურთა კრებაზე გუბერნიის მარშალმა თავ. დ. ო. ნიჟარაძემ არც ერთ გაზეთის თანამშრომელს ნება არ მისცა კრების ანგარიშები დაეწერა და ყველა კრებიდან გააძევაო. გადმოგვცემენ, რომ ეს შეუწყნარებელი საქციელი ბ. ნიჟარაძისა აიხსნება იმ სამწუხარო მოვლენით, რომ საზოგადოებას საშუალება არ მიეცეს გაიგოს ის უწესოებანი, რომელსაც ადგილი აქვს თავად-აზნაურთა კრებაზე სამწუხარო და სავალალოა ეს მოვლენა და სავსებით ადასტურებს ჩვენ იმ მოსაზრებას, რომ საზოგადოების საქმეებს ხშირად ისეთი პირები მოექცევიან ხოლმე სათავეში, რომელთაც ნაკლები პატივის ცემა აქვთ საზოგადოებისა, საზოგადო საქმეებისა და მარტო თავის პირად მეობას ემსახურებიან.

---

## დავეხმაროთ სამეურნეო სასწავლებელს!...

(თავად აზნაურთა საგუბერნიო კრების საყურადღებოთ.)

დღეს ყველა ჩვენთაგანი ნათლათ ხედავს, თუ რამდენათ საჭირო და აუცილებელია ჩვენში სამეურნეო ცოდნის გავრცელება. ბუნებით იშვიათი კუთხე, სადაც ქრისტეს თვისი კალთა დაუბერტყია და სადაც ბუნების მეფე ადამიანს შეუძლია მოაშენოს თვალწარმტაცი ბაღები და გააჩაღოს სამეურნეო შრომა, დღეს უპატრონოთ არის მიტოვებული და მაშინ, როცა სხვა კულტურულ ხალხებს შედარებით უფრო პატარა მიწებზე გაუმჯობესებული სამეურნეო იარაღებისა და შესაფერი ცოდნის საშუალებით მოყავთ განსაცვიფრებელი მოსავალი, ჩვენი ხალხი შიმშილს განიცდის, ჩვენ მეურნეს არ აბადია ცოდნა-განათლება, ჩვენმა გლეხმა არ იცის თუ როგორ მოიხმაროს ესა თუ ის იარაღი.

მუდამ გავიძახით, მუდამ ვყვირით, რომ ჩვენი ქვეყანა სამეურნეო ქვეყანაა, საჭიროა ამ დარგში მუშაობის გაჩაღება, საჭიროა ცოდნის შეძენა და სხვა, მაგრამ ლაპარაკი ლაპარაკათ რჩება და ჩვენ გარშემო კი ისევ ძველი სურათებია. აბა, მიმოვიხედოთ, თუ რამდენი გავაკეთეთ მეურნეობის ასაყვავებლათ? საკმარისია გაგვახსენდეს, რომ ქუთაისის გუბერნიას მხოლოდ ერთადერთი ქუთაისის სამეურნეო სკოლა აბადია, რომ ნათლათ წარმოგვიდგეს, თუ რა მდგომარეობაშია დღეს სამეურნეო ცოდნის გავრცელება. მერე ვიკითხოთ, როგორაა ამ სასწავლებლის საქმე, აქვს კი მას საჭირო თანხა, რომ მისი დანიშნულება პირნათლათ შეასრულოს და ფრთები გაშალოს? როცა ამ კითხვას ჩაუკვირდებით და საქმის ვითარებას გაეცნობით, თვალწინ დაგიდგებათ მეტად უნუგეშო სურათი.

ეს სასწავლებელი აგერ 25 წელია არსებობს. ამ ხნის განმავლობაში მას მთავრობა ყოველწლიურათ ეხმარებოდა დაახლოვებით მხოლოდ 500 მანეთს, რაც მასწავლებელთა ჯამაგირების ნაწილსაც არ ყოფნის. ამის გარდა სასწავლებელი საერობო თანხიდან ღებულობს 6000 მანეთს, ხოლო დაარსებიდან მას ეხმარებოდა ყოველწლიურათ [illegible] კი 3000 მანეთს, [illegible] თუ რა უნდა [illegible] სამეურნეო სასწავლებელმა? ძველ დროში, როცა სასწავლებელში მხოლოდ 40-50 მოწაფე იყო და ცხოვრება შედარებით იაფი ჯდებოდა, ამ თანხით კიდევ შეიძლებოდა ასე თუ ისე საქმის წარმოება, მაგრამ, მიუხედავათ ამისა, ძველი მართველის ხელში 1904 წელში სკოლის ვალი 10000 მანეთამდი გაიზარდა. ამის შემდეგ ცხოვრება ბევრათ შეიცვალა, პირველათ ყოვლისა საშინლათ გაძვირდა სანოვაგე, მოწაფეთა შენახვა დღეს სამჯერ და ოთხჯერ მეტი ჯდება, ვიდრე ეს წარსულში იყო ამის გამო პანსიონში მცხოვრებ მოწაფეს, რომელსაც წლიურათ 120 მან. შემოაქვს, ეს თანხა არ ყოფნის და სკოლა იძულებულია მიმართოს სხვა და სხვა საზოგადოებებს, რომ გამოიღონ თავიანთი წვლილი და სასწავლებლის საქმეები არ შეაფერხონ.

თუ წარსულში მხოლოდ 40—50 მოწაფე ითვლებოდა, დღეს ამათი რიცხვი 100-დი გაიზარდა, სასწავლებლის საქმეები შედარებით დღეს უკეთ მიდის, ძველი ვალების ნაწილი შემდეგ წლებში გასტუმრებულ იქნა, მარა ამავე დროს სხვა და სხვა მიზეზის გამო ამ რამდენიმე წლის წინათ სათავადაზნაურო ბანკი იძულებული შეიქნა სკოლისთვის დახმარება მოესპო და მხოლოდ უკანასკნელ წლებში გადასცა დახმარების ერთი ნაწილი. ამგვარათ, სასწავლებელს დღეს წარსულთან შედარებით ნაკლები თანხა ეძლევა, ხოლო ყველამ კარგათ ვიცით, თუ რამდენათ გაძვირდა ცხოვრება და ესეც რომ არ იყოს, მოწაფეთა გამრავლებულ რიცხვს მეტი ხარჯები ესაჭიროება. კითხვა იბადება, სიდან უნდა შემოვიდეს საჭირო თანხა? თუ გამოვიანგარიშებთ მოწაფეს წლიურ ხარჯისთვის ეჭირება დაახლოვებით არა ნაკლებ 200 მანეთისა, მათ კი შემოაქვთ მხოლოდ 120 მანეთი. პირველი გამოსავალი გზაა—გადიდება ხარჯის ფულის, მაგრამ ვინ არ იცის, რომ ამ სასწავლებელში თავს იყრიან უმთავრესათ შრომის შვილები, ღარიბ ღატაკნი, ქვრივთა ცრემლებით გაზრდილი ბავშვები და საერთოდ, კი აკაკის სიტყვებით, რომ სვთქვათ „გაპუტული გლეხის შვილები."*) ყველა ამათ მეტად უძნელდებათ ამ 120 მანეთის შემოტანა. აბა კარგათ ჩაუკვირდით, თუ რამდენი ცრემლები და შრომა უნდა დახარჯოს გლეხმა, რომ ეს თანხა შეიძინოს და თავისი შვილის გასაზდელათ სკოლაში მოიტანოს? ამგვარათ, რომ სწავლის ფული გადიდდეს, აშკარაა სასწავლებლიდან მოწაფეთა უმრავლესობა გავა და ქუთაისის გუბერნიის ერთადერთი სამეურნეო სკოლა, ყველასათვის სამწუხაროთ, იძულებული იქნება დაიხუროს. ხოლო თუ რამდენათ დიდი დანაკლისი იქნება ეს ჩვენი ხალხის ეკონომიური აღორძინებისათვის, ეს იქედანაც კი სჩანს, რომ ამ უკანასკნელათ საზოგადოება გამოფხიზლდა და იმდენათ დაინტერესებულია სამეურნეო საქმეებით, რომ ამ ერთადერთ სკოლას აუარებელი მთხოვნელი აწყდება და უადგილობის გამო, მრავალი გულდაწყვეტილი ისევ თავის კერას უბრუნდება, სადაც ის, სამეურნეო ცოდნას მოწყურებული, ძალაუნებურეთ იძულებულია განაგრძოს მუშაობა ძველი, ადამის დროინდელი იარაღებით.

როგორც გავიგეთ, სკოლის მზრუნველს დასაბუთებული თხოვნა შეუტანია თავად-აზნაურთა ბანკის რწმუნებულთა კრებაზე და ითხოვს განახლებას ყოვეწლიურ 3000 მანეთის დახმარებისას და აგრეთვე იმ წლების დახმარების მიღებას, რაც სკოლისთვის ბანკს არ მიუცია

ჩვენი აზრით მზრუნველის თხოვნას დიდი ყურადღება უნდა მიექცეს. როგორც ბანკის რწმუნებულებმა, ისე მთელმა საგუბერნიო კრებამ ერთხმად უნდა მისცენ სამეურნეო სკოლას დახმარება და, თუ შესაძლებელია, გაუდიდონ კიდეც ჩვეულებრივი თანხა.

ჩვენ მოვუწოდებთ ყველა იმათ, ვისაც კი გული შესტკივა ჩვენი ქვეყნის კეთილ-

*) ამით სრულიად არ გვინდა იმის თქმა, თითქო ამ სკოლაში მარტო გლეხის შვილები იზრდებოდნ. პირიქით, ზოგჯერ აქ თავად-აზნაურთა შვილები სჭარბობენ. ჩვენთვის სულ ერთია ვისი შვილებიც იქნებიან სკოლაში აღზრდილნი, ოღონდ ესენი ხალხის საკეთილდღეო ადამიანთ გამოვიდნენ და ხალხს ემსახურონ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეობისათვის, ვინც კი ხედავს მეურნეობის აყვავებაში ჩვენი ქვეყნის მომავალს, ხელი შეუწყონ ქუთაისის გუბერნიის ერთადერთ სამეურნეო სკოლას, რათა მან განაგრძოს და გააფართოვოს თავისი მოქმედება სახალხო მეურნეობის კეთილდღეობისათვის.

დავეხმაროთ ქუთაისის სამეურნეო სკოლას! ამით ჩვენ მოვიხდით ჩვენ პატიოსან მოვალეობას და დიდს კულტურულ საქმეს ერთი ნაბიჯით მაინც წინ წავსწევთ.

აზნაური.

# რუსული პრესა.

მთელი რუსული პრესა თანაგრძნობით შეხვდა სომეხთა ყრილობას, მხოლოდ დისონანსი შეაქვს „კოლოკოლს“. იგი სწერს თავის მოწინავეში:

„სომხები არიან უცხონი სულით და იდეალებით, ნაკლებ კულტუროსანნი, ცნობილნი ადგილობრივ მცხოვრებთა შორის როგორც ჩარჩ-მევახშენი და ნაციონალური კარჩაკეტილობით. სომხები ამ მსოფლიო უბედურების დროს ყურებს გვიჭედვენ თავის ავტონომიით, ჰრყვნიან დედა აზრს არაჩვეულებრივ საერთაშორისო ბრძოლისას, რაც სცდილობენ დაჰფარონ მაგარი და ლამაზი სიტყვებით. ომს პრაქტიკული დანიშნულებანი აქვს, რასაც ჩვენ არ გვაცვლით განყენებულ წიგნიდან ამოღებულ დოქტრინებზე.

# ახალი ამბავი.

**ქ უ თ ა ი ს ი.**

ხუთშაბათს, 19 მაისს, სალორიის სასაფლაოზე ნახეს გადაგდებული მამრობითი სქესის ბავშვი, რომელიც წვიმას დაურჩვია.

✦ ქალაქის ბაღში საზ. „სინათლის“ სასარგებლოთ 19 მაისს დანიშნული სახალხო სეირნობა, ცუდი ამინდის გამო, გადიდვა.

✦ კვირას, 22 მაისს, ქალაქის ბაღში გაიმართება სახალხო სეირნობა, რომლის წმინდა შემოსავალიც გადაიდება ქუთ გუბერნიის ღარიბ ბავშთა მზრუნველი საზოგადოების სასარგებლოთ.

✦ ოთხშაბათს, 18 მაისს, ელექტრო თეატრ „რადიუმში“ ქ-მა კატო მიქელაძის ასულმა წაიკითხა ლექცია: „სიმბოლისტები და შოთა რუსთაველი“. საზოგადოება ბლომათ დაესწრო. ლექციით საზოგადოება ნასიამოვნები დარჩა.

✦ ს კელის (ოზ. მაზრა.) მცხოვრებლებმა ქუთაისის გუბერნატორის წინაშე შუამდგომლობა აღძრეს, რათა ნება დართოს დააარსონ მომხმარებელი საზოგადოება „მოლოდინი“.

✦ ქალაქის საბჭომ ამას წინათ გადასწყვიტა ქუთაისში დაეარსებიათ საზოგადო ბანკი. ამის შესახებ დადგენილება წარუდგინეს გუბერნატორს. სახაზინო პალატის აზრით, ასეთი ბანკის დაარსება ქუთაისში საჭირო არ არისო

✦ ქუთ. მაზრის უფროსი ატყობინებს გუბერნატორს, რომ ს. კოკას ხიდში (ბაღდადის რაიონი) სეტყვას გაუფუჭებია ვენახები და ნათესი ყანები.

✦ ქუთაისის გუბერნატორის წინაშე შუამდგომლობა აღძრეს დააარსონ მომხმარებელი საზ. შემდეგ სოფლებში: ს. ციგობანში (ქუთ. მაზ,) „იმედი“ ს. ჯვარცმა-გუთურში (ზუგ. მაზ.) „თანამშრომლობა“ ს. ხრიალეთში (ოზურ. მაზ.) „ძმობა, და ს ჯვარში (ზუგ. მაზ.) „ცდა“.

✦ რედაქციამ მიიღო ჟურნ. „თეატრი და ცხოვრების“ მორიგი მე-20 №.

✦ 16 მაისს სად. ბელაგორსა და ძირულას შუა მატარებელმა გასრისა რკინის გზის დარაჯი, გვარათ გელაშვილი.

**თეატრის ქრონიკა.**

დღეს, ქალაქის თეატრში ალ. იმედაშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება „ოტელო“. ოტელოს როლს შეასრულებს ალ. იმედაშვილი.

**დაჯარიმება.** ქუთაისის გუბერნატორმა არაყის ჯარის კაცზე მიყიდვისათვის 150 მან, ან ერთი თვე ციხეში დატუსაღებით დააჯარიმა ქუთ. მოვაჭრე იუსტინე მარგველაშვილი; პურის ნიხრის დარღვევისათვის მეფურნე დავით იმედაძე 10 მან. ან ერთი კვირის დატუსაღებით. ვაჭარი ესაია ფხაკაძე ღვინის ნება დაურთველად ვაჭრობისათვის—25 მან. ან ორი კვირის დატუსაღებით და სენაკის ვაჭარი კონსტანტინე რუხაძე 15 მან. ან ერთი კვირის დატუსაღებით შაქრის ნიხრს ზევით გაყიდვისათვის. იარაღის ნება დაურთველათ ტარებისათვის 5 მან. ან სამი დღის დატუსაღებით სენაკის მაზრის მცხოვრები ნოე ფირცხალავა.

**ს ო ფ ლ ა დ.**

**დ: ზესტაფონი**

29 მაისისათვის ზესტაფონის წერა კითხვ. საზოგადოების განყოფილება ჰმართავს სეირნობას ლოტარია-ალეგრით საზოგადოების სასარგებლოთ არაბიძის ბაღში

— 21 მაისისათვის დანიშნულია ომისაგან დაზარალებულთა დამხმარე საზოგადოების წლიური კრება.

— ზესტაფონის საურთიერთო სამეურნეო ბანკის თავმჯდომარე ბ. კ. გიგენეიშვილი გადაიყვანეს სოხუმში ასეთივე ბანკის თავჯდომარეთ.

— აუარებელი ხალხი აწყდება დაბას სიმინდის საყიდლათ. დიდი შიმშილობაა ყველგან. ხალხი სასოწარკვეთილებაშია.

— ს. ბოსლევის (შორ მაზრა) წვრილი საკრედიტო ამხანაგობის კასიდან, ამავე სოფლის სამრევლო სკოლის დარაჯმა პარმენ გამყრელიძემ მოპარებული გასაღებით გაიტაცა 369 მან. დამნაშავე ზესტაფონის გამომძიებელს გადასცეს.

— ხორგინის (ზუგ მაზ.) მახლობლად ტყეში ავაზაკებმა წაართვეს მეჯოგეებს ი გახარიას 112 მან. ლ. ჭანგელიას 28 მ., დ. კრილოვს 6 მ., ნ. თოროლდავას 75 მან. მელიტონ თოდუას 29 მან. და ათი შაური და თ უბირიას 25 მან.

— ს. ლასიჩინოში (ზუგ. მაზ.) თავუსიჭინავას შეუვარდენ სახლში ყაჩაღები და მოსთხოვეს 500 მან. რადგანაც მან ფულის მიცემაზე უარი უთხრა, ავაზაკებმა რევოლვერით მოკლეს საჭინავა და ჰისი ნათლული ვერა საჭინავა. პოლიციამ ეჭვით შეიპყრო საჩინო საჭინავა და მ. ღვინჯილია.

— ს. ჭალადიდიდან ქ ფოთში მიმავალს ლევან გვარამიას გზაზე დაუხვდენ ავაზაკები და წაართვეს 11 მან. და ათი შაური.

# ქუთ. გუბერნიის თავად-აზნაურთა კრება.

**18 მაისი.**

კრება იწყება გუბ. მარშ. თ-დ დ. ო. ნიჟარაძის თავჯდომარეობით, ქართულ გიმნაზიის დარბაზში. კრების დაწყებისას თავჯდომარემ კრებიდან გააძევა „Кут. Вѣс.“ თანამშრომელი, რომელსაც ვითომც ყალბი ცნობა მიეწოდებიოს გაზეთისათვის 16 მაისის კრებაზე მომხდარ ამბის შესახებ. კრება ამტკიცებს მცირე შესწორებით წარსული კრების ოქმს და გადადის მორიგ საკითხებზე. ირჩევა საკითხი იმ საშუალებათა შესახებ, რომელიც საჭიროა გიმნაზიის შენობის ვალის 140,000 მან. დასაფარავათ.

ვ. ჭიჭაძე მოითხოვს გადაიდვას ნაწილი წმინდა მოგებისა გიმნაზიის შესანახათ და ამასთანავე ის 20 ათასი მანეთი, რომელიც უმაღლესათ მოცემული გვაქვს, ისიც ამ საქმეს მოხმარდესო.

თ-დი ე. გელოვანი: ბ-ბო, ამ გიმნაზიას თავად აზნაურული ტყვილა ქვია. ეს გიმნაზია მთელი ერისაა, მისი კარები ღიაა მთელი ქართველი ერის შვილებისათვის, განურჩევლათ წოდებისა და სარწმუნოებისა. ბ ბო თუ ჩვენ $^1/_2$ მილიონი ფული ტყვილა უბრალოთ დაგვიხარჯავს, რა გვიჭირს ამის ფასი, რომ ეს ჩვენი ძეგლი შევინარჩუნოთ და არ გაგვეყიდოს.

თავჯდომარე: როგორც ყოველივე საკითხს, ამ საკითხსაც ყუთი დაედგმება, რომ წმინდა მოგება ჩვენი ბანკისა გადაიდვას დეპუტატთა საკრებულოს განკარგულებაში ისე, როგორც ეს არის თბილისში.

გ. აბაშიძე: თუ თბილისის ბანკი ასე იქცევა, ეს სრულიად არ არის ჩვენთვის მაგალითი. იქ ბანკს უხდება მოქმედება სხვა მდგომარეობაში, ქუთაისში კი სხვ არის. თბილისის ბანკის მესხებელთა უმრავლესობა არის სხვა ეროვნების ხალხი და რომ ასეთი დადგენილება არ გამოეტანათ, ვინ იცის რაზე, მოახმარდენ მოგებას. აქ კი ასეთი გადაწყვეტილება უფრო ზიანს მოუტანს საქმეს.

ამის შემდეგ კრება გადადის დეპუტატთა საკრებულოს მოსამსახურეთა შესანახ თანხის საკითხზე და დაადგინა: თითოეულმა მოსახლემ გადაიხადოს 5 წლის განმავლობაში 40 მან. ეს ფული უნდა წარადგინონ ხაზინაში და მისგან შემოსული პროცენტებით უნდა შეინახონ დეპტატთა საკრებულო.

თ-დი გ. ჩიჩუა: ბ ბო, ჩვენი მაზრის ის თავად აზნაურებ-, რომელნიც დამტკიცებული არ არიან, ამ ფულს არ გადაიხდიანო.

თავჯდომარე. ისინი თავადაზნაურული უფლებით არიან აღჭურვილი და მოვალენიც არიან ეს ფული გადაიხადონო.

თაყაიშვილი: ბ ბო, ვინ რამდენი უნდა გადაიხადოს, ეს ძნელი გამოსარკვევია, შეიძლება, მე ორასი დესეტინა მქონდეს, მაგრამ ცოტა შემოსავალს მაძლევდეს, მეორეს-კი 30 დესეტინა და ათი ჩემზე მეტი შემოსავალი შემოდიოდეს. ამ საკითხის გამორკვევა და სისწორით განაწილება სამაზრო მარშლებს უნდა მიენდოს. თუ იგინი ამას ვერ მოახერხებენ, „ასტავკა“ შემოიტანონო (საერთო სიცილია).

თ-დი პეტ. წულუკიძე: ბ ბო, ასეთ დაბეგვრის შესახებ ლაპარაკი არ შეიძლება. აგერ ჩვენში ერობა უნდა შემოიღონ და მას კიდევ სხვა გადასახადები დასჭირდება. ამდენი გადასახადების გაღება ჩვენ არ შეგვიძლია.

შემდეგ გადადიან ბ-ნ სილოვან ხუნდაძის თხოვნაზე.

გ. აბაშიძე: ბ-ბო, ეს საკითხი დიდათ საყურადღებოა, ამიტომ ჩემს თავს ნებას მივსცემ მოკლეთ მოგახსენოთ საქმის გარემოება როგორც მოგეხსენებათ, სამოსწავლო მთავრობამ ჩვენს გიმნაზიაში გასათავებელ ეგზამენებზე დასასწრებლათ გამოგზავნა კორიცკი. ის, როგორც პიროვნება, ცუდი გამოდგა. არავითარი პატივისცემა მასწავლებლებისადმი და მით უმეტეს მოწაფეებისადმი არ ქონდა. ჩაჰრიდა თუ არა მოწაფეს, შანის მოსაგებათ გაერეოდა მათ ჯგუფში და დაუწყებდა მუსაიფს ცხადია, მის პიროვნებას, აღელვებულ მოწაფეთაგან ხიფათი მოელოდა. ეხვეწებოდა გიმნაზიის გამგე ბ-ნი ი ოცხელი—დაანებე თავი მოწაფეებსო; ბ-მა ოცხელმა დარაჯებიც კი დაუყენა, რომ არაფერი მოწევოდა და ამით გიმნაზია ხიფათში არ ჩავარდნილიყო, მაგრამ ის მაინც განაგრძობდა ბნელსა და ვიწრო ქუჩებში ძრომას. ამ გარემოებას მიაქციეს ყურადღება მასწავლებლებმა და უნდოდათ რაიმე კანონიერი მიზეზი ეშოვათ, რომ თავიდან მოეცილებიათ.

რადგანაც მის წინააღმდეგ ნახმარმა ზომებმა მიზანს ვერ მიაღწია, გადაწყვიტეს თავისი თავი მსხვერპლათ მოეტანათ და ერთ დღეს, როდესაც კორიცკი მოვიდა, უთხრეს, რომ ჩვენ პატივს გცემთ როგორც სამოსწავლო ოლქის წარმომადგენელს, მაგრამ როგორც პიროვნებას არაო და ხელი არ გაუწოდეს. ამ ინციდენტს მოყვა, რომ ბ-ნი ი. ოცხელი და ს. ხუნდაძე კი, დაითხოვეს თანამდებობიდან. შემდეგ ოცხელი დააბრუნეს, მაგრამ სილ. ხუნდაძე რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის ჩვენს გიმნაზიაში, სასწავლებლის გარეთ დატოვეს. რასაკვირველია, ბ-ნი სილოვანი ბოდიშს ვერ მოიხდიდა კორიცკისთან, მით უმეტეს, რომ მას არავითარი დანაშაულობა არ მიუძღვოდა მასთან. ამიტომ ამ კრებაზე უნდა ამოვარჩიოთ დეპუტაცია და შუამდგომლობა აღვძრათ, სადაც ჯერ არს.

ა წერეთელი. ბ-ბო, საკითხი კარგათ არ არის დაყენებული. აქამდი შუამდგომლობას ძრავდენ თითქოს ხუნდაძეს პირადათ რაიმე დანაშაულობა მიუძღოდეს ვინმეს წინაშე. არა, ბ.ბო, მან დაიცვა თქვენი და თქვენი გიმნაზიის უფლებები და ამიტომ ჩვენ უნდა ვიშუამდგომლოთ აღადგინონ ჩვენი კანონიერი უფლება და ბ ნ სილოვანს დაუბრუნონ მისი თანამდებობა მის საყვარელ გიმნაზიაში.

კრება ერთხმათ ადასტურებს შუამდგომლობის აღძვრის საჭიროებას და დეპუტაციაში ირჩევენ: უგანათლებულეს თ-დს შერვაშიძეს, თ-დ ოთ. დადეშქელიანს, ბ-ნ კ აბაშიძეს და გუბერნიის მომავალ მარშალს.

კრებამ ამავე დეპუტაციას დაავალა იშუამდგომლონ, რომ შეაჩერონ ქართველ მაჰმადიანების დევნა.

შემდეგ მდივანი კითხულობს თ დ პლატონ წულუკიძის მოხსენებას, რომელიც შეეხება ჭიათურის მადნების თავად აზნაურობის მიერ შესყიდვას, რომ უცხო პირებს არ ჩაუვარდეს ხელში.

გ. აბაშიძე: ამ საქმის გამო მეფის მოადგილის კანცელარიის—ერთ მოხელესთან მქონდა საუბარი და გამოირკვა, რომ მათ, ვისაც უნდათ იმას მისცემენ, იმ პირობით კი, ან ჭიათურაში და ან ქუთაისში გააკეთონ ისეთი ქარხანა, რომ აქვე დაამზადონ ფერო მარგანეცი.

თავჯდომარე: ეს კითხვა ამ კრებაზე არ გადაწყდება. ჩვენ შეგვიძლია მოვიწვიოთ გამოცდილი პირები და ისე გადავწყვიტოთ საკითხი.

ივ. ნიჟარაძე: ეს საქმე საჩქაროა. შეიძლება დაგვიანებამ საქმე წაახდინოს და ვილაც სომხებმა ჩაიგდონ ხელში, როგორც ამას უკვე მოვკარი ყური.

კრებამ დაადგინა, ახლავე ეცნობოს მთავრობას, რომ ამ მამულის შეძენა ჩვენც გვინდა, ეს საკითხი უთუოდ 15 ივნისამდი უნდა გადაწყდეს.

კრებამ დაადგინა აგრეთვე მიიღოს მინგრელსკის მოურავის ბ-ნ ვ ალშიბაიას მოხსენება, რომ მინგრელსკის მამულზე დაწესდეს გადასახადი.

კრება იხურება 3 საათზე შემდეგი კრება მოხდება ქართულ თეატრის შენობაში.

# ზ ა ვ ი.

მიუხედავათ იმისა რომ მოპირდაპირეთა ჯარები გაალმასებული დგანან ერთი მეორის წინაალმდეგ

ფრთხილი, შორსმ ჭვრეტელი პირები ორივ ჯგუფის სახელმწიფოებისა კანტი კუნტათ გამოსთქვამენ ზავის საჭიროებას, მხოლოდ საზოგადოებაში თანდათან ვრცელდება და ფართოვდება ზავის მომხრეთა წრე.

ზავის საჭიროებას სარჩულად უდევს სურვილი ხალხისა—თავიდან აიცილოს ზედ მეტი მსხვერპლი, რა-კი-და შეუძლებელი გახდა ომის მიზნის მიღწევა.

გერმანელებმა ვერ შესძლეს მსოფლიო ჰეგემონიის დაახლოვებაც კი,

ინგლისელებმა და დღეს კი მათმა გარეშე საქმეთა მინისტრმა სერ ედუარდ გრეიმ ზურგი აქცია ამ აზრს და ჩიკაგოს გაზეთის კორესპონდენტთან საუბარში, სხვათა შორის, სთქვა:

„ინგლისი არც კი ფიქრობს განადგურებას მთლიანი და თავისუფალი გერმანიისას“-ო. და მეორე ალაგას უმატებს. „ინგლისს არავითარი მტრული განზრახვა გერმანიის მიმართ არა ჰქონია“ და „ინგლისის მეტს არავის ჰსურს ზავი“ ო მხოლოდ შეუძლებელია ზავზე ლაპარაკის ჩამოგდება, თუ, ზავის მოსურნე ნეიტრალი სახელმწიფონი, რომელნიც ითავებენ ზავის ჩამოგდებას, დარწმუნებულნი არ არიან ბელგიისა და სერბიის აღდგენის საჭიროებაში და მხარს არ დაუჭერენ მათ აღდგენასაო. ეს კი უბრალო აზრი არ არის კერძოდ მინისტრისა, არამედ სქემა ზავის პირობებისა, რომელიც გამოაქვეყნა გრეიმ საცდელად, რა აზრს გამოსთქვამენ გერმანელებიო. უკანასკნელებმა-კი უკვე რამოდენიმე ასეთი „საცდელი ბურთი“ გამოუშვეს. გერმანელებმა იმ შემთხვევაში სცნეს შესაძლებელი ზავი, თუ მიეცემა მათ პოლიტიკური და ეკონომიური გარანტიები. რა მასშტაბით უნდა გაიზომოს ეს გარანტიები ამას გერმანელები არ გვამცნობენ. ამნაირად, სულ სხვადასხვა აზრისანი არიან მომავალ ზავის პირობებზე. მაგრამ ერთი შესანიშნავია ამ ფაქტში: დაახლოვება;

დღეს მხოლოდ გარანტიებს მოითხოვენ. ეს ჰქმნა ბრძოლის გაჭიანურებამ

მაშასადამე, თუ ბრძოლა კიდევ გაჭიანურდა, უფრო ადვილი მისაღები გახდება ზავის პირობები. ეს ასეც მოხდება. ისევ ბრძოლამ უნდა გამოსჭედოს ორივე მებრძოლ მხარესთვის მისაღები ზავი.

ბანი.

# მ ო ხ ს ე ნ ე ბ ა

**1916 წლის საგუბერნიო თავად-აზნაურთა ჩვეულებრივ კრებას.**

ბატონებო! მეცხრამეტე საუკუნეში ჩვენს ქვეყანაში შემოვიდენ ახალი ცხოვრების პირობები, ახალი მოთხოვნილებანი, ახალი საჭიროებანი და, როდესაც ამ საუკუნის მეორე ნახევარში ჩვენმა ხალხმა გამოიღვიძა, დაინახა, რომ ის სრულებით მოუმზადებელია ამ პირობებთან შესაგუებლათ და ახალ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად.

აღმოჩნდა, რომ ახალმა ხანამ წამოაყენა მრავალი ისეთი მოთხოვნილებანი, რომელთა დასაკმაყოფილებლათ საჭიროა ახალი იარაღი—ვაჭრობა-მრეწველობის განვითარება, მეურნეობის ახალ წესზე წარმოება, მშვიდობიან ნიადაგზე თავისი ენერგიის განვითარება და ამისათვის კი უწინარეს ყოვლისა საჭიროა სწავლა-განათლება! სწორეთ ამ სწავლა-განათლების წყურვილმა საოცარის ძალით [illegible] ჯერ თავად-აზნაურობასა და [illegible] ბით ხალხში.

ჩვენმა მამებმა გასაოცარის სისწრაფით შეიგნეს ეს და მოიხმარეს ფრიად დიდი ენერგია საგანმანათლებლო ფონდის შესადგენათ. დააარსეს ქუთაისისა და თფილისის გუბერნიაში ორი ბანკი, რომელთა მსგავსიც თავისი დანიშნულებით მთელს იმპერიაში არ მოიპოვება!

მაგრამ გამოღვიძებული ერის სწავლისადმი მისწრაფება ისეთი ძლიერი შეიქნა, რომ ხსენებული ბანკების მოგება ამ წყურვილის დასაკმაყოფილებლათ მეტის მეტი მცირედი აღმოჩნდა და ხალხის მოთხოვნილების მესამედ ნაწილს ველარ აკმაყოფილებს, თუმცა ამ მხრით ბანკებს შავი ქვის მრეწველთა საბჭო გვერდს უდგას და სწავლა-განათლებისათვის ას ორმოცდაათას მანათს ხარჯავს წელიწადში, მაგრამ მოთხოვნილება გეომეტრიული პროგრესიით იზრდება და დღევანდელი საშუალება არ ყოფნის ხალხს თავისი მისწრაფება სწავლა განათლებისადმი დაიკმაყოფილოს.

ჩვენ დღეს ცოტა გვყავს მეურნეობის მცოდნე პირნი, ცოტა გვყავს სერიოზულად მომზადებული კომერსანტები და მთელი ვაჭრობა ან პრიმიტიულ მდგომარეობაშია, ან უცხოელთა ხელშია ჩავარდნილი; ცოტა გვყავს ინჟენერები, ტეხნიკები და სხვა მცოდნე პირნი და ჩვენი ქვეყნის გული, სავსე ყოველგვარი მადნეულობით, ჯერეთ გადუშლელია.

მთელს გუბერნიაში მადნის ერთად-ერთი მრეწველობა არსებობს შავი ქვის მრეწველობა და ისიკ უცხოელთა ხელშია ჩვენი მრეწველები კი, რომელთაც არც ცოდნა აქვთ, არც გამოცდილება, არც უნარი შეკავშირებისა,—მხოლოდ შავი მუშის როლს ასრულებენ და ქართველი ხალხის ოფლით ამოღებულს სიმდიდრეს უცხოელ ჩარჩებს ჩალის ფასათ უგდებენ ხელში

სწავლის მოთხოვნილება კი, როგორც მოგახსენეთ, საზღაპრო სისწრაფით იზრდება და ხალხის მეცადინეობაც მისდევს მას, მაგრამ შორს რჩება მას უკან. ამიტომ ჩვენ უნდა გამოვნახოთ დიდი რამ საშუალება ამ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

სწორეთ ერთ-ერთ ასეთ საშუალებაზე მინდა მივაქციო პატივცემულ თავად აზნაურთა კრების ყურადღება. ზევითაც მოგახსენეთ, რომ მთელს გუბერნიაში მრეწველობის ერთ ერთი თვალსაჩინო დარგი არის შავი ქვის მრეწველობა მრეწველთა რიცხვი 150-დან 300-მდე ადის ამ მრეწველებში არა ქართველი სულ ათიოდე თუ იქნება, მაგრამ ქართველებს ნახევარი მრეწველობა თუ ეკუთვნის, დანარჩენი სულ უცხოელთა ხელში არის.

ჩვენი მრეწველები ამ ნახევრითაც ვერ სარგებლობენ შესაფერად და ისევ უცხოელთა ყმებად გამხდარან. იმათ თავისი ნაწარმოები ჩამოაქვთ რკინის გზაზე და, რადგანაც სადგურის იქით გზა არ იციან, სულ მცირე ფასებში, ხშირად ნისიათ, უყრიან ხელში იმ უცხოელთ, რომელთაც არაფერი არ გააჩნიათ, გარდა მოხერხებისა და ევროპიული ენების ცოდნისა. ესენი გადიან ევროპაში და ერთმანეთთან კონკურენციის გამო, მარგანეცის მაზანდას სწევენ დაბლა, რაც, რასაკვრელია, ჭიათურის მარგანეცის ფასებზე მოქმედობს.

მეორე ნახევარი მთელი მრეწველობისა უცხოელთა ხელშია, რომელთა შორისაც უდიდესია გერმანელი ორი ფირმა: გელზენკირხენის საზოგადოება და კავკასიის სამთამადნო საზოგადოება. ამათ ხელშია, დაახლოებით, 1500 ქცევა შავი ქვის ადგილებისა. ორივეს აქვს ჩინებულათ მოწყობილი ქვის სარეცხი ქარხნები, სახლები და მრეწველობისთვის სხვა საჭირო მოწყობილობა—და მათ ემჩნევათ ტენდენცია მთელი მრეწველობის ხელში ჩაგდებისა და ამას მიაღწევდენ კიდეც, თუ რომ ეს სიმდიდრე მათ ხელში დარჩენილიყო, მაგრამ რუსეთ-გერმანიის ომის მიზეზით მთავრობამ ჩამოართვა მათ, როგორც საკუთრად შეძენილი მიწა, ისე შენობები, მადნები და აგრეთვე დიდ ვადიანი იჯარით აღებული ადგილები. სამინისტროს მიენიჭა უფლება გადასცეს ეს აუარებელი ქონება რუსეთის ქვეშევრდომს, თავისი შეხედულებით.

ამ ფირმების წარმოება, (ან ერთის მაინც) ჩვენმა, ქართველმა საზოგადოებამ რომ ჩაიგდოს ხელში, მას შეუძლია იმის გარდა რომ მრავალ სიმდიდრეს შეიძენს, ჩვენს ეროვნულ მრეწველობას დაუფასებელი სამსახური გაუწიოს ჩემის აზრით, ერთად ერთი საზოგადოება, ერთად ერთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორგანიზაცია, რომელსაც შეიძლება მთავრობამ გადასცეს ამ ფირმების ქონება, არის ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობა. უნდა ვიფიქროთ, რომ მთავრობა სხვა კერძო პირებზე უფრო მეტ უპირატესობას მისცემს თავად-აზნაურობის ორგანიზაციას. პირველად, იმიტომ, რომ კერძო ამხანაგობას არ ექნება ის ეროვნული მნიშვნელობა, რამდენიც თავად-აზნაურთა ორგანიზაციას. მეორე, სამართლიანობა მოითხოვს ქართველთა საუნჯე, ქართველთა სისხლით მორწყული ადგილები დაუბრუნდეს ქართველებს, რომელნიც მთელი საუკუნის განმავლობაში და დღესაც თავდადებით იბრძვიან საერთო სამშობლოს — რუსეთის კეთილდღეობისათვის.

თითოეულ ამ ფირმას შეუძლია დაამზადოს და გაიტანოს ევროპისა და ამერიკის ბაზარზე არა ნაკლებ ათი-თუთხმეტი მილიონი გარეცხილი ქვისა თითოეული ფუთი წინანდელი ფასით რომ ვიანგარიშოთ, დასტოვებს მოგებას 3 კაპ. ე. ი. სულ 300 დან 450-ათას მანათამდის წელიწადში. და თუ მივაქცევთ ყურადღებას, რომ ამ წარმოების გარშემო შეჯგუფდებიან სხვა ქართველი მრეწველებიც და ჩარჩების რიცხვი შემცირდება, ბაზარზე ფასები აიწევს, წმინდა მოგება უნდა ვიანგარიშოთ არა ნაკლებ 500—600 ათას მან. წლიურათ.

მაგრამ მთავრობამ რომ თავად-აზნაურობას გადასცეს იმ ორი ფირმის წარმოება, ან ერთის მათგანის მაინც, საჭიროა თანხა საიდან უნდა ვიშოვოთ ეს თანხა? აქ მე ვგულისხმობ შემდეგ მოსაზრებას: ქუთაისის თავად-აზნაურებს ერგებათ ხაზინიდან დროებით ვალდებულ გლეხთა ნადელების გამოსყიდვისა ორი მილიონი მანეთი და მთავრობას შეუძლია ამ ფულში ან ამ ფულის ნაწილის დასაფარავად თავად-აზნაურობას გადასცეს ერთ-ერთი ფირმის წარმოება. თავად-აზნაურობა თავის მოგებას გაანაწილებს ამნაირათ მოგების ნახევარს გადასდებს თავად-აზნაურთა ფულის გასასტუმრებლად. შემდეგ ეს ნახევარი გადაეცემა მათ დივიდენდის სახით. მეორე ნახევარს კი, როგორც ვსთქვით, მოახმარს სწავლა-განათლებისა და მეურნეობის გაუმჯობესებას და ეს გაგძელდება მანამდის, სანამ შავი ქვა იარსებებს ჩვენში, ე. ი. არა ნაკლებ 89—100 წლისა.

ამგვარად, თავად-აზნაურობა მიაღწევს ორთ მიზანს. გაუნაღდებს ხაზინიდან მისაღებ ფულს სარგებლით თავადებს და აზნაურებს, გაუჩენს მათ შემოსავლის დაუშრეტელ წყაროს. გააუმჯობესებს და გაამლიერებს ეროვნულ მრეწველობას და შექმნის უშრეტელ წყაროს სწავლა განათლებისა და მეურნეობის გაუმჯობესებისათვის.

როგორ უნდა მოაწყოს თავად-აზნაურობის თანხმობა, ან თვით ორგანიზაციის მოწყობა, ამის შესახებ ლაპარაკი შემდეგ. მხოლოდ დღეს კი, თუ თავად-აზნაურობა იზიარებს ამ მოხსენების დედა აზრს, საჭიროა დადგენილება გამოვიტანოთ კრების სახელით, რომ დაუყოვნებლათ აღიძრას სათანადო მთავრობის წინაშე შესაფერისი შუამდგომლობა და ამ შუამდგომლობის შედგენა მიენდოს დეპუტატთა საკრებულოს და მისგან არჩეულ მცოდნე პირთ.

თუ კი შუამდგომლობა შეწყნარებულ იქნა და თავად აზნაურობამ მოახერხა ამ დიდი საქმის განხორციელება, იგი იმის გარდა, რომ თავის წევრებს დიდ სარგებლობას მოუტანს, თვით ქართველ ერსაც გაუწევს დაუფასებელსა და დაუვიწყარ სამსახურს.

თავადი ელპიტონ გიორგის ძე წულუკიძე

# რუსეთი.

## მოწერილი ამბები.

(ხარკოვის საკ. კორესპონდენტისაგან).

ხარკოვში მყოფნი ქართველი ახალგაზრდობა დიდათ დაგვამწუხრა მგოსან იროდიონ ევდოშვილის გარდაცვალებამ, მაგრამ უფრო მეტად დაგვამწუხრა და თავზარი დაგვცა „თანამედროვე აზრში“ მოთავსებულმა წერილმა მრავალტანჯულ მგოსნის შესახებ. ჩვენ სრულიად ვუერთდებით ია ეკალაძეს (იხილე „სამშობლო“ № 349 „მაშ არა ვსთქვას“.) და მასთან ერთად ვეკითხები ქართველ მშრომელ ხალხს: ნუ თუ „თანამედროვე აზრის“ სიტყვები ხმაა მშრომელი ხალხისა. ჩვენ ელით პასუხს.

აქ მყოფი ქართველი ახალგაზრდობა ძლიერ აღაშფოთა გაზეთ „Русскія вѣдомости-“ს № 85-ში მოთავსებულმა წერილმა ქართველთა შესახებ ვილაც П-ს მიერ. საპროტესტო წერილი გაიგზავნა გაზეთ „დენ-“ში, რომელიც არ დაბეჭდეს თქვენი კორესპონდენტი ესაუბრა ადგილობრივ პოპულიარულ გაზეთ „Южный кай-“ს რედაქციის შემადგენლობას იმ წერალების შესახებ, რომელიც თავსდება ამ ბოლო დროს რუსულ პროგრესიულ გაზეთებში ქართველთა შესახებ. რედაქცია არ იზიარებს იმ წერილების შინაარსს. მათ კარგათ იციან, თუ რა სარჩული უდევს იმ წერილებს და ვინ უკარნახებს მათ. ამ დღეებში ამ გაზეთში მოთავსდება აქ მყოფ ქართველ ახალგაზდათა ვრცელი საპროტესტო წერილი რუსულ გაზეთებში მოთავსებულ წერილების გამო ქართველთა შესახებ.

ნიუიორკში გარდაიცვალა ცნობილი ნიჭიერი ებრაელთა მწერალი სოლომონ რაბინოვიჩი, რომელსაც ბევრი აქვს დაწერილი ებრაულ სალაპარაკო ენაზე „შალომ ალეიხემის“ ფსევდონიმით. მისი ნაწარმოები გადათარგმნილია თითქმის ყველა ევროპიულ ენებზე; მას იცნობდა მთელი განათლებული ევროპა. განსვენებული 57 წლის იყო. სიტყვა (ფსევდონიმი განსვენებულისა) „შალომ ალეიხემ“ ნიშნავს „მშვიდობა თქვენ“.

**პარიზი**. პროფესორი ი. მეჩნიკოვი, როგორც ვიცით ძლიერ ავათ არის პარიზში.

უკანასკნელი ცნობების მიხედვით, მისი მდგომარეობა თანდათან უარესდება.

**რომი**. გამოაქვეყნეს იტალიის გენერალური შტაბის ცნობები, იმ ძალის შესახებ, რომელიც აქვს ეხლა ავსტრიელებს იტალიის ფრონტზე. იტალიის შტაბის ცნობებით, ავსტრიელებს ყავს 14 არმიის კორპუსი სამ სამი დივიზიით, თითოეულში და 1500 ზარბაზნით.

**ბუქარესტი**. „ბუხარ ტაგებლატი“ სწერს, რომ გერმანელები ახლო მომავალში ემზადებიან, დაიწყონ ახალი შემოტევა რუსეთის წინააღმდეგ. შემოუტევენ რიგას ან ოდესას იმ მიზნით, რომ ჩაიგდონ ბესარაბია.

ხარკოვის უნივერსიტეტის საექიმო ფაკულტეტი დაასრულა 5 ქართველმა.

### სომეხთა ყრილობა.

**პეტროგრადი**. 10 მაისს პეტროგრადში გაიხსნა სომეხთა ყრილობა, რომელზედაც დაესწრო 200 წარმომადგენლამდის სომეხთა ადგილობრივ ორგანიზაციებისა. თავჯდომარეთ აირჩიეს მოსკოველი ნაფიცი ვექილი მამიკონიანცი. ყრილობაზე მრავალი სიტყვა წარმოითქვა სომეხთა პატრიოტიზმის შესახებ, და რუსეთისადმი ერთგულების და მისდამი თავდადებულების დასამტკიცებელი. ყრილობაზე პრინციპად აღიარეს მოუცადონ ომის გათავებას, რომელიც მოუტანს სომხის ხალხს სრულ თავისუფლებას. სომხების წარმომადგენლებმა თავიანთ სიტყვებში გამოსთქვეს ძლიერი რწმენა, რომ გამარჯვება რუსეთისა განახორციელებს პეტრე დიდის პრინციპს სომეხთა ხალხის განთავისუფლებისას და მიიღებენ სრულ ავტონომიას. „Южный край“-ს კორესპონდენტი აცნობებს გაზეთს, რომ ყრილობამ დიდ მთავარ ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა, სადაც ნათქვამია, რომ მან (ნიკოლოზ ნიკოლოზის ძემ) დაიპყრო სომხების სატახტო ქალაქი არზრუმი მადლობის დეპეშები გაუგზავნეს საზონოვს და მოკავშირე სახელმწიფოების გარეშე საქმეთა მინისტრებს, რომლებიც თავდადებულნი არიან სომეხთა განთავისუფლებისა და აღორძინებისათვის.

ინ.—ჟანი.

### სრულიად გურიის სახალხო სკ. მასწ. კრება ქ. ოზურგეთში.

შემდეგი იხ. „სამშ. 359 №.

საღამოს სრულ 6 საათზე კრება შეუდგა მორიგ საკითხების განხილვას. განსახილველია საკითხი სახელმძღვანელოების შესახებ. გამგ. თავჯდ პ. თოთიბაძე - აცნობს კრებას, თუ როგორი ცუდი სახელმძღვანელოები არის შემოღებული სახალხო სკოლებში და აუცილებელ საჭიროებათ სცნობს გამგეობა გამოსცვალონ ასეთი სახელმძღვანელოები. ი. კალანდაძის აზრით, საჭიროა ამოირჩეს განსაკუთრებით კომისია, რომელსაც უნდა დაევალოს სახელმძღვანელოების განხილვა-გამოცვლა. სახელმძღვანელოების ამორჩევა უნდა ეცნობოს მასწავლებელთ აგვისტოს პირველ რიცხვებამდი, რომ საშუალება მიეცესთ ადრე დაიკვეთონ სახელმძღვანელოებიო. ვ. გიორგაძე საჭიროა აირჩიონ ორი სექცია—ერთს დაევალება სახელმ. ამორჩევა ქართულსა და რუსულ საგნებში, ხოლო მეორეს—დანარჩენ საგნებშიო; არჩეულ იქნას ეს სექციები ეხლავე და ხვალინდელ კრებაზევე ეცნოს მასწავლებლებს ამორჩეული სახელმძღვანელოები.

ბოლქვაძის აზრით, საჭიროა თითოეულ საგანში ცალკე სექცია.

კრებამ გადასწყვიტა ამოირჩიოს კომისია, რომელსაც დაევალება სახელმძღვანელოების მოწესრიგება. წამოყენებული არიან შემდეგი კანდიდატები: ძ. დოლიძე, ი. ლომაძე, ვ. გიორგაძე, ა. ჭურაძე, ფაცია კალანდაძე, მირიან რამიშვილი, ბ. მენაბდე, გ. ბახტაძე, ს. ბოლქვაძე, დ. შარაშენიძე, ყ. ქარცივაძე, ვ კილაძე, მარო თოხაძე, ანა მგელაძე, ვ. სულუხია. კომისიაში ამოირჩიეს: ი. ლომაძე, ი. ბოლქვაძე, ანა მგელაძე, ა. ჭურაძე ფ. კილაძე, და ფ. კალანდაძე.

შემდეგი მორიგი კითხვა იყო: განსაზღვრული პროგრამის შემოღება ყველა სასწავლებელში.

პ. თოთიბაძე ამბობს, რომ სხვადასხვა სასწავლებლის ერთსა და იმავე კლასებში სხვადასხვა პროგრამა იხმარებაო, ამიტომ გამგეობამ საჭიროთ სცნო ყველა სასწავლებელში ერთნაირი პროგრამა იყოს.

ქ. სტუდ. მ. ხერხეულიძე—აღნიშნავს თანამედროვე სკოლებში ქართული ენის უმწეო მდგომარეობას, რის მიზეზითაც, სხვათა შორის, ასახელებს თვით მასწავლებლებს, ამიტომ, მისი აზრით, სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს ქართული ენის სწავლებას სახალხო სკოლებშიო. დიდი კამათისა და აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ კრება ადგენს; შემოღებულ იქნას ყველა სახალხო სკოლაში 1881 წ. პროგრამა ამის შემდეგ კრება ორშაბათისთვის გადაიდვა.

9 მაისის კრება.

ორშაბათს კრება იხილავს შემდეგ მორიგ საკითხს: გადაიდვას რამდენიმე % სახალხო სახლის ასაშენებლათ ქ. ქუთაისში

ბ. ბოლქვაძე არკვევს ასეთი სახლის აგების მნიშვნელობას ქ. ქუთაისში და უმთავრეს ყურადღებას აქცევს მის მორალურ მხარეს

მ. ხერხეულიძე—უხერხულად სცნობს დღევანდელ პირობებში სახალხო სახლის (საგუბერნიოს) აშენებას ქ. ქუთაისში.— იგი უფრო საჭიროთ ხედავს, ის ფულები, რომელიც უნდა გადაიდვას სახლის ასაგებათ, მოხმარდეს ჟურნალ „სკოლა და ოჯახის“ გამოცემას, „რომელიც უსახსრობის გამო უნდა დაიხუროსო.

უ ქარცივაძის აზრით, უფრო საჭიროა იქნება ოზურგეთის მაზრის სახალხო სკოლების მასწავლებლები ააგებდენ სამაზრო სახალხო სახლს—და არა საგუბერნიოს. მცირე კამათის შემდეგ კრებამ ერთხმათ გადასწყვიტა გადაიდვას მასწ. ჯამაგირებიდან (წლიურ) 5% ქ. ქუთაისში სახალხო სახლის ასაგებ ფონდის გასაძლიერებლად.

სახალხო კითხვების მოწყობის შესახებ ხერხეულიძე ამბობს, რომ თბ. ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების ერთ სექციას აქვს განზრახვა მოაწყოს ასეთი სახალხო კითხვებიო, ამიტომ ოზურგეთის მასწ. ფილიალურმა განყოფილებამ ამ საკითხის მოწესრიგებაში თბ. ქ. შ. წ. კ. გ. საზ. სექციასთან ერთად უნდა იმუშავოსო.

კრებამ ხერხეულიძის წინადადება მიიღო და დაადგინა: შეეკითხოს თბ. ქ. შ. წ. კ. გ საზ. სექციას ამის შესახებ და მასთან ერთად იმოქმედოს ამ საკითხის მოსაწეს რიგებლათ. (კრება ერთი საათით შესწყდა).

ეკლექტიკი.

შემდეგი იქნება.

### პროვინციის ცხოვრება.

**ს. კორბოული** (ზემო იმერეთი). ჩვენსკენ თითქმის თესვა სულ გათავდა. გაზაფხულის მუშაობას დიდათ ხელი შეუწყო კარგმა ამინდებმა: იშვიათად მაინც და მაინც ... ხსნათ ამნაირი ამინდი. დათესილი ჯეჯილიც მშვენივრათ ამოდის და, უეჭველია, სასიკეთო იქნება, თუ გამარგვლა-გათოხნაზეც კარგი ამინდები შეერია.

ამას წინათ ვსწერდი, რომ კიდი სიმინდის ფასმა ხუთმანეთამდის აიწია მეთქი, მაგრამ ახლა კიდ სიმინდს 8 მანეთ ნაკლებ ვერ იშოვის კაცი და არც გასაყიდია. ჯერ ჯერობით სოფ-ოჯ გაისმის ერუ კვნესა-გოდება სიმშილის გამო და შორს აღარ არის ის დრო, როდესაც დამშეული პატარა ბავშვები საერთო ყვირილს მორთავენ: პური გვშია—გვაჭამეთო. ამ უკანასკნელ ხანებში მაინც ისე ფეხი ვერ გადმოდგამს, რომ გულშემზარავ სურათს არ წააწყდე:

— „მამაო, მიშველე რამე, ოთხი სული შიმშილით მეხოცება, თავის გასაგდებტი აღარა მომეპოვება რაფ“, მომმართა ერთმა ძალზე მოხუცებულმა კაცმა. რომელსაც ორი ვაჟის მეტი არა გააჩნდა რა, და ისინიც ომში გაიწვიეს. აგერ მოდის მეორე მოხუცი გლეხი, რომელსაც სამი მარჩენალი შვილი ომში წაუვიდა, ხოლო 17 სული შინაური დაუტოვეს საწყალ მოხუცს. ამ გლეხს რვა კიდი სჭირდება ყოველ თვეს და მკითხველი თვითონ წარმოიდგენს, თუ რა დაუჯდება ამ ოჯახს გამოკვება მოსავლამდის ამ მამასისხლობის დროს?...

— ჯერ-ჯერობით შვილივით საღირალი ორი საუღლე ხარი გავყიდე და აწი მესამეც უნდა გავყიდო, მამაო, რომ შვილის-შვილები ვიხსნა სიკვდილისაგანაო, მითხრა თვალცრემლიანმა გლეხმა.

— შემოდის ჩემთან საკრედიტო ამხანაგობაში ერთი მეახნის გლეხის ქვრივი, რომელსაც სამი ვაჟი ომში ჰყავს, თვალცრემლიანი სესხის მიცემას იმედრება, რომ ეგების „დედა ენაცვალოს ჩემ შვილებს“ ო, იმათი ბავშვები სიმშილით არ ამომეხოცონ და ცოცხლები ჩავაბარო მათ, თუ ეს ჩემი სამივე გული კიდევ ეღირსა იმათ დანახვასო“. იტირა ბევრი თვითონ და მეც მწარეთ დამადონა.

გავდივარ ერთ სოფელში, მეორეში, მესამეში და ასეა ყველგან. სიმშილის შავი აჩრდილი დასტრიალებს საცოდავ ხალხს თავზე და ჯერ-ჯერობით მშველელი კი არსაიდან არა სჩანს. ამისთვის ვევედრებით და ვუხმობ მათ, ვისაც ჩვენი ცხოვრების საჭე ხელში უპყრია, რომ დროზე მიიღონ მადლი, თუ მადლის ჩადენა სწადიათ და მაშვლი მიაწოდონ ამ საცოდავ ხალხს...

დიახ! თავად-აზნაურთა ბ-ნნო წინამძღოლებო, ქართველთა საქველმოქმედო საზოგადოების მეთაურნო, თუ ჩვენი ქვეყნის კერძო საზოგადოების წარმომადგენლნო, გვეშველეთ, თუ რამ შველა შეგიძლიათ [illegible] ხალხი შიმშილით [illegible] ხსენებათ, რომ შიმშილს [illegible] და თქვენც ამ შემთხვევაში მოურიდებლათ მოითხოვეთ, რაც კი მოსათხოვი და შესაძლებელია დამშეული ხალხის დასაპურებლათ...

მღვდ. ვლად. მაჭარაშვილი.

### წერილი რედაქციის მ. მართ,

ბ-ნო რედაქტორო!

ვსცნობ რა ჩემს თავს შეურაცხყოფილად იმ უმგვანო ცილის წამებისთვის, რომელიც მომართულია ჩემზე გაზ. „სამშობლოს“ 355 ნომერში ბ. „ორბის“ მიერ, ვსთხოვ თქვენი გაზეთის საშუალებით ხსენებულ „ორბს“ გამომიყვეს სამედიატორო სასამართლოში; ვაძლევ ერთი კვირის ვადას ამ წერილის დაბეჭდვის დღიდან; ჩემის მხრივ მედიატორებათ ვასახელებ კოლია ბ-ძეს და ნ. დენ-ს. გთხოვთ თქვენის მხრიდანაც დაასახელოთ. განაჩენი გაზეთის საშუალებით ეცნოს საზოგადოებას. მტყუანმა პირმა გადაიხადოს ადგილობრივ სამკითხველოს სასარგებლოდ 20 მან.—იმ შემთხვევაში თუ აღნიშნულ დრომდე გადაჭრილი პასუხი არ მივიღე, შეძლება მექნება შესაფერი სახელი გიწოდოთ. ბ-ძე.

### ღია წერილი

**ბბ. ტერენტი მაჩიტაძეს, თავ. ირაკლი გელოვანს და ჭიჭიკო ვარდანაშვილს.**

თქვენ პრძანდებოდით მედიატორებათ ჩემსა და მინა ქათამაძის შორის ატეხილ უთანხმოების გამოსარკვევათ, რომელი უთანხმოებაც გამოიწვია მინა ქათამაძესაგან ჩემი ასი მანეთის მისაკუთრებამ. თქვენი შეხედულებით ეს ფული მისაკუთრეთ მინა ქათამაძეს, რომელიც მე არა სამართლიანად მიმაჩნია და ამისათვის გთხოვთ ამავე გაზეთის საშუალებით გამაგებით ის საბუთები, რომლითაც ხელმძღვანელობდით ამ გადაწყვეტილობის დროს.

დიდ მადლობას შევსწირავ ბატონ მედიატორებს, თუ დამარწმუნებენ საბუთებით ჩემს უსამართლო საჩივარში, ვინაიდან ვერ წარმომიდგენია ასე უსამართლოდ ასი მანეთის დაკარგვა, რომელიც უფრო შეძლებულსაც კი შეაწუხებს ამ სიძვირეში, არა თუ ჩემისთანა ღარიბს. ალექსანდრე ბაქრაძე.

რედაქტორი **ი. ცინცაძე**.
გამომცემელი ამხან. „სამშობლო“

**მუშაოსს ხრესილის მადნეული წყლის ძმ. ჟორჟოლაძეების სამკურნალო**

# აბანო.

აბანო მდებარეობს მაღლობ, ბუნებით შემკულ მთის ჰაერზე და, როგორც ნამდვილ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავათმყოფობას: ქარებს (რევმატიზმს), სხვადასხვაგვარ მუწუკს, საყმაწვილოს, ნერვების სისუსტეს, ჩაყოლილ ციებას (მალარიას), კუჭის ტკივილს, ვენერიულ ავათმყოფობას, ეგზემას, სისავნეს და სხვა. წყალი მიიღება ცივი და თბილიც. ხრესილში იმყოფება მუდმივი ექიმი, სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის. არის სუფთა საკუთარი ვანები, სუფთა ბინა და სასმელ-საჭმელი. ფასები ყოველივეზე ძლიერ ზომიერია. აბანო მდებარეობს სადგურ „სერნია ვოდში“. ხრესილში სადგურია მატარებლის გასაჩერებლათ. სადგურიდან 150 საჟენია აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილის „სტანცია სერნია ვოდის“. ქუთაისიდან მატარებელი გადის დილით და ბრუნდება საღამოობით.

თ.

# სიფილისი.

ყოველ მის სტადიაზე წარმატებით რჩება გაუმჯობესებულ ფრანგულ ექ. **დე ვეზის პრეპარატის** საშუალებით.

სიფილისის მოსარჩენათ ხმარებულ საშუალების უმნიშვნელო მოქმედებას იმ დასკვნამდი მიჰყავს ავათმყოფნი, რომ წამლობას თავს ანებებენ და ამით თავის თავს მწვავე შედეგების საფრთხეში აგდებენ: სიფილისის ბაცილები, მძლავრდებიან რა ავათმყოფის სხეულში, სწამლავენ მთელს ორგანიზმს საშიშარი შხამით, რომელიც იწვევს პროგრესიულ სიდამბლეს, სხეულის სრულიად დაშლას. მხოლოდ რადიკალური და ენერგიული წამლობა სიფილისის წინააღმდეგ ათავისუფლებს ავათმყოფს სიკვდილისაგან.

**პრეპარატი ექ. დე-ვეზისა** ცნობილია ექიმებისაგან შეუდარებელ საშუალებათ სიფილისის წინააღმდეგ შინაურულათ წამლობის დროს.

**პრეპარატი** ექ. დე-ვეზისა სრულებით სპობს სიფილისის ბაცილებს და სწმენდს შხამისაგან სხეულის ყველა ნაწილს.

**პრეპარატი** ექ. დე ვეზისა სპობს მუწუკებს, ჩირქის დენას ყურსა და შხამს რომელიც სიფილისისაგან არის გამოწვეული, სპობს თავის ტკივილს, ფეხების ავათმყოფობას, ზურგისას, უძილობას, მეხსიერების, მხედველობისა და სმენის სისუსტეს.

**პრეპარატი** ექ. დე-ვეზისა დიად სამსახურს უწევს ავათმყოფს და აშორებს მას ხირხმლისა და მთელი ორგანიზმის პროგრესიულ სიდამბლეს ხიფათშივის თავიდან ასაცდენათ **პრეპარატი** ექ. დე-ვეზისა იყიდება ქ. ქუთაისში მხოლოდ „პრაკტიკულ მედიცინის ლაბორატორიის“ განყოფილებაში ქუთაისში **ა. ნ. შავერზაშვილის** სააფთიაქო მაღაზიაში, გიმნაზიის ქუჩა, თეატრის პირდაპირ.

ფასი ერთი კოლოფისა 6 მანეთი, წამლობის მთელი კურსისათვის საჭიროა 3—5 კოლოფი

**პოპულიარული ბროშურა იგზავნება უფასოთ.**

13—(წლიური)